სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
ხელშეკრულება №87

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 12 ივლისი 2013 წ.

ერთის მხვრივ, შპს ,,ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდია კახიძის სახით და მეორეს მხვრივ, შპს ,,2012" (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგლა ფუტკარაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. "მიმწოდებელი" - პირი, რომელსაც აქვს შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის სურვილი ან რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: საღებავები, ლაქები და მასტიკების მოწოდება.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: 44800000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს (სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები) მიწოდებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში ანგარიშ–ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

5.1 ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება მიმწოდებლის მისამართი.

6.2 საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მიწოდების ვადად განისაზღვროს მოთხოვნიდან 1 (ერთი) დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხისთ და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, აღმოფხვრას ნაკლი ან შეცვალოს იგი შეტყობინებიდან 5 დღის ვადაში;

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ორი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლიარი ინახება მიმწოდებელთან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ.ბათუმი, პუშკინის ქ.№154	
შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი”	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ.61
ანგარიშის № ***GE92TB4457736020100006***	შპს ,,2012“
საიდენტიფიკაციო კოდი: ***245426490***	*ანგარიშის №GE10 PC 0033600100047632*
მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს ბათუმის ფილიალი.	*საიდენტიფიკაციო კოდი:* ***445405507***
ბანკის კოდი: ***TBCBGE22***	*მიმღების ბანკი: პროკრედიტ ბანკის ბათუმის ფილიალი*
	ბანკის კოდი: ***MIBGGE22***
დირექტორი	დირექტორი
მინდია კახიძე	გიგლა ფუტკარაძე